შპს „სელფი მობაილ“-ის

ურთიერთჩართვის მოწვევის ოფერტა

2026 წელი

ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების, ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზებისა და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურების წინადადება

1. ტერმინთა განმარტება:

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. A2P SMS - მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მოკლე ტექსტური შეტყობინებ(ებ)ა(ი), რომელიც ეგზავნება აბონენტ(ებ)ს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით A ნომრით ან მის გარეშე;

1.1.2. Bulk SMS - დიდი (მასობრივი) რაოდენობით გაგზავნილი A2P SMS;

1.1.3. არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - A2P SMS და Bulk SMS მომსახურება ერთად ან ცალ-ცალკე;

1.1.4. აბონენტი - ბოლო მომხმარებელი, რომელსაც ავტორიზებულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიეწოდება საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება;

1.1.5. ფროდი - ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის და/ან სხვა სახის მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობას ან მსგავსი მიზნით სხვა არამართლზომიერი ქმედება.

1.1.6. ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - არასტანდარტული სახის SMS მომსახურება, რომელიც წამოწყებულია საქართველოში;

1.2 საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება (A2P SMS შეტყობინებები)- საერთაშორისო არასტანდარტული A2P SMS შეტყობინებებად ჩაითვლება:

საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება (A2P SMS შეტყობინებები) - საერთაშორისო არასტანდარტულ A2P SMS მომსახურებად ჩაითვლება:

ა) იმგვარი A2P SMS, რომელიც ეგზავნება „სელფი მობაილის“ ქსელს და მოიცავს ინფორმაციას ან/და სარეკლამო განცხადებას საერთაშორისო კომპანიის მომსახურებების ან/და პროდუქტების, მონაცემების, ტრანზაქციების, წვდომის შესახებ და, რომლებიც შესრულებულია/წარდგენილია აბონენტებისთვის უშუალოდ საერთაშორისო კომპანიის ან/და მის მიერ დანიშნული მესამე პირების გამოყენებით.

ბ) იმგვარი A2P SMS, რომელიც ეგზავნება „სელფი მობაილის“ ქსელს, მოიცავს მითითებას/ბმულს დომენური ზონის web რესურსზე, რომელიც არ ეკუთვნის საქართველოს.

გ) იმგვარი A2P SMS, სადაც შეუძლებელია A2P SMS-ის თავდაპირველი გამგზავნის/ინიციატორის იდენტიფიცირება ანბანურ-ციფრული სახელის საფუძველზე, ასევე შეუძლებელია A2P SMS-ის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, მათ შორის მომსახურების/პროდუქტის/A2P SMS-ის შინაარსის (მიზნის), თუ სხვა ელემენტის მეშვეობით.

დ) შეტყობინებები, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ელექტრონულ გადახდის სისტემას (მაგ.Visa, MasterCard, AmExpress და სხვა), საერთაშორისო ელექტრონულ საფულეებს და/ან საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემებს (მაგ WebMoney, Qiwi Wallet და სხვა.), ელექტრონული გადახდის დამუშავების საერთაშორისო პლატფორმებს (მაგ PayPal და სხვა.), საერთაშორისო სოციალურ ქსელებს (მაგ. facebook, Google+, twitter, instagram, fotostrana და სხვა), საერთაშორისო OTT აპლიკაციებს (მაგ. Skype, Viber, WhatsApp და სხვა), საერთაშორისო ონლაინ თამაშებს (მაგ.World of Tanks, Gameserver, mobitva.com და სხვა), ელექტრონული ფოსტის საერთაშორისო მომსახურებები და/ან ფაილის გაცვლის მომსახურებები და/ან საძიებო სისტემები (მაგ.Yahoo, Google და სხვა) და/ან საერთაშორისო ტაქსის სერვისი (მაგ. Bolt, Uber და სხვა) და/ან საერთაშორისო ონლაინ მაღაზიები და/ან საერთაშორისო ონლაინ საცალო პლატორმა (მაგ. Amazon, Ebay).

ე) შეტყობინებები, რომლებიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის საერთაშორისო მომსახურებებთან (მაგ. Booking, AirBnB და სხვა), საერთაშორისო ბანკებთან (მაგ., Arab Bank) (ფინანსური დაწესებულებების გარდა, რომლებიც მოქმედებენ ოპერატორის ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერატორის ქვეყნის ავტორიზებული სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად) და საერთაშორისო ავიაკომპანიებთან (მაგ. AirBaltic და სხვა).

ვ) შეტყობინებები, რომლებიც იგზავნება (წარმოიქმნება) საერთაშორისო კომპანიების (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობის/აფილირებული კომპანიის, კომპანიის, რომელიც ახორციელებს საქმიანობებს კომპანიასთან იმავე ბრენდით / სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს კომპანიასთან ფრანშიზის პირობებით) მიერ, მოკლევადიანი (Starbucks, Burger King, Nescafe, L'Oréal, და სხვა) და გრძელვადიანი (Audi, Samsung, Bosch, IKEA, და სხვა) გამოყენების საქონლის გაყიდვასთან, ასევე მომსახურებების (DHL, Netflix, და სხვა) გაწევასთან დაკავშირებით.
ზ) შეტყობინებები, რომლებიც იგზავნება SMS gateway (მაგ. SMS-fly, TurboSMS, LetsAds, ePochta SMS და სხვა) მეშვეობით.
თ) შეტყობინებები, რომლებიც მოიცავს მობილური ქსელის ოპერატორების სახელებს, საქართველოში რეგისტრირებული ავტორიზებული პირების გარდა.
ი) ანბანურ-ციფრული სახელ(ებ)ი, რომლებშიც გამოიყენება საერთო სახელები/ტერმინები/დეფინიციები, რომლებიც არ იძლევა გამგზავნის (საბოლოო მომხმარებლის) ზუსტი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, მაგ. „SMS", „Info", „Verify", „NXSMS" და სხვა;

***„საერთაშორისო კომპანიარ** (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობა/შვილობილი/აფილირებული პირიირებულილობა, რომელიც ახორციელებს საქმიანობასლობა"Verif ბრენდით/სასაქონლო ნიშნით, შნითნლფრანშიზის პირობებით ირორომელიც:

- რეგისტრირებულია ნებისმიერ ქვეყანაში, საქართველოს გარდა; და/ან
- ახორციელებს საქმიანობებს (ასევე წარმომადგენლობის/აფილირებული კომპანიების/ფრანიშიზის მეშვეობით) მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში; და/ან
- რომლის სათაო ოფისი/ცენტრალური ოფისები რეგისტრირებულია ნებისმიერ ქვეყანაში საქართველოს გარდა; და/ან
- რომლის მომსახურებები/პროდუქტები, რომელთან დაკავშირებით იგზავნება A2P SMS, წარმოდგენილია მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში (ასევე წარმომადგენლობის/აფილირებული კომპანიების/ფრანშიზის მეშვეობით).

2. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართები:
ა) ქ. თბილისი, ფარნავაზის ქუჩა #6
ბ) ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი #31
გ) ქ. ქუთაისი წერეთლის ქუჩა#186
დ) ქ. ბათუმი აღმაშენებლის ქუჩა #13

3. ურთიერთჩართვის წერტილში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა
ურთიერთჩართვის წერტილში გამოყენებული ინტერფეისებია: SIP პოტოკოლი

4. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების ტარიფები მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (ლოკალური ზარის წამოწყება/დასრულების)
ტარიფი შეადგენს:
ლოკალური ზარის დასრულება - 0.75 თეთრს გადასახადების გარეშე;
ლოკალური ზარის წამოწყება - 1.44 თეთრს გადასახადების გარეშე;
ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.
ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულების) ტარიფი - 4 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით.
ტრანზიტული გატარების ტარიფი საქართველოს ტერიტორიაზე – 1 თეთრი/წთ, დღგ-ს ჩათვლით.

5. სტანდარტული სახის SMS დასრულების აგრეთვე ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურების მიღების/გაწევისთვის გამოყენებული ინტერფეისებია: SMPP ტიპის შეერთებები;

6. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფი.
6.1 ლოკალური არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფი განისაზღვრება Retail Minus მეთოდოლოგიით (რომელიც გამოითვლება შეთავაზებული ლოკალური არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS მინიმალური საცალო ფასიდან) და მისი ოდენობა განისაზღვრება ავტორიზებულ პირთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებისას.
6.2. საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფი განისაზღვრება Retail Minus მეთოდოლოგიით (რომელიც გამოითვლება შეთავაზებული მინიმალური საცალო ფასიდან) და მისი ოდენობა განისაზღვრება ავტორიზებულ პირთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებისას.
6.3. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურების სახით 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების ტრანზიტული გატარების ტარიფი განისაზღვრება ავტორიზებულ პირთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების გაფორმებისას.
6.4 მხარის ინიციატივით ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელების ვადამდე 30 (ოცდა ათი) დღით ადრე. ამასთან ტარიფის ცვლილებისას დაცულ უნდა იქნას ტარიფის განსაზღვრის Retail Minus მეთოდოლოგიის პრინციპები.

7. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულებისა/ტრანზიტის მომსახურების აღრიცხვა ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით: SMPP ტიპის შეერთების მეშვეობით განხორციელებული მოკლე ტექსტური შეტყობინება ანგარიშსწორებას ექვემდებარება, თუ მას ექნება სტატუსი გაგზავნილია (sent).

8. ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურების ფარგლებში მხარე, რომელიც საკუთარი კომერციული, მარკეტინგული, სარეკლამო და/ან ინფორმაციული მიზნებისათვის ახორციელებს მეორე მხარის აბონენტების მიმართულებით ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურების სახით მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ მეორე მხარის აბონენტების პერსონალური მონაცემების, მათ შორის, სატელეფონო ნომრების სისწორესა და პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავებაზე, ისევე როგორც მის შინაარსზე. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი მხარის მიერ აბონენტისთვის გაგზავნილი SMS შეტყობინება გამოიწვევს აბონენტის ან ნებისმიერი მესამე პირის კანონიერი უფლების შელახვას ან/და აღნიშნული პირები გამოთქვამენ რაიმე სახის პრეტენზიას SMS შეტყობინების გაგზავნასთან/შინაარსთან/პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ნებისმიერ ასეთ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის მხარეს.
8.1 მხარეები იძლევიან გარანტიას და იღებენ ვალდებულებას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება არ იქნება გამოყენებული სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, თაღლითური ქმედების (ფროდი), საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის/განხორციელებისთვის.
8.2 მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცავენ საკუთარი ქსელის ინტეგრაციას და უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავენ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში თაღლითური ქმედების (“ფროდი“) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ამავე დროს, მხარეები თანხმდებიან, რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ ამ პუნქტით გათვალისწინებული ორმხრივი ვალდებულებების შესასრულებლად.

9. ანგარიშსწორების პირობები
9.1. ანგარიშსწორების პირობები იყოფა რამდენიმე კატეგორიად, კერძოდ:
9.1.1. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე;
9.1.2. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც არ არიან ცნობილნი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად (9.1.1 პუნქტით განსაზღვრული პირების გარდა ნებისმიერი პირი);

9.2. 9.1.1 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:
9.2.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.
9.2.2. შედარების აქტში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, ლოკალური არასტანდარტული სახის SMS-ის და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS რაოდენობის შესახებ, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. მხარეები ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნიან ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა ("სელფი მობაილისთვის" მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრონული ფოსტის მისამართზე invoices@cellfie.ge და billing@cellfie.ge). მეორე მხარის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის შედგენა ხდება " სელფი მობაილის" მონაცემების საფუძველზე. " სელფი მობაილი" გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტს მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (მათ შორის, შესაძლებელია შედარების აქტის ელექტრონული სახითაც გაგზავნა), ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე შედარების აქტის ერთ ეგზემპლარს " სელფი მობაილს" უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.
9.2.3. შედარების აქტის გაფორმებისას მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა მათ მიერ გაწეული მომსახურებების ოდენობებზე. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას შედარების აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.
9.2.4. 9.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადაო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მეორე მხარე "სელფი მობაილს" აწვდის სადაო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, "სელფი მობაილი" ურთიერთჩართვის მომსახურების საფასურის სრული ოდენობით მისაღებად უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
9.2.5. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს შედარების აქტს), ანგარიშსწორება იწარმოებს "სელფი მობაილის" მიერ „კომპანიისადმი" წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.
9.3. 9.1.2 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარისწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:
9.3.1. „ავტორიზებული პირი" „სელფი მობაილს" წარუდგენს ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად საბანკო გარანტიას (საბანკო გარანტიაში იგულისხმება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტია) ან პროგნოზის საფუძველზე წინასწარ ავანსის სახით იხდის მის მიერ „სელფი მობაილის" ქსელში ან/და მისი ქსელის მეშვეობით დასასრულებელი/დასატერმინირებელი წუთების და SMS - ების ღირებულებას.

9.3.2. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს/შეარჩიოს "სელფი მობაილის" წინაშე მის მიერ ნაკისრი ყოველთვიური ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებებიდან (ავანსი, საბანკო გარანტია) მისთვის ხელსაყრელი საშუალება.

9.3.3. ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს მის მიერ სელფი მობაილისგან" მისაღები/მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების მოცულობა; 9.3.6. ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყონებლივ გადაუხადოს "სელფი მობაილს" მიღებული ურთიერთჩართვის მომსახურების ღირებულება, თუ გაწეული მომსახურების ღირებულება გაუტოლდება ავტორიზებული პირის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას ან/და სრულად გაიხარჯება ავანსის სახით გადახდილი თანხა.
9.3.4.ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 9.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებზე ასევე ვრცელდება 9.2.2-9.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. გამონაკლისს წარმოადგენს ის დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის 9.3 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პირობებთან.
9.3.5. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 9.1.2 პუნქტით განსაზღვრული ავტორიზებული პირების მიერ "სელფი მობაილისგან" მიღებულ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე თანხების გადახდის ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დღიდან, როდესაც ავტორიზებული პირის მიერ გადახდილი თანხა აისახება/ჩაირიცხება "სელფი მობაილის" საბანკო ანგარიშზე ან/და „ავტორიზებული პირის მიერ "სელფი მობაილისთვის" წარდგენილია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დადგენილი წესით დადასტურებული საბანკო დაწესებულების მიერ).
9.4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.
9.5 ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.6 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხარის მიერ მეორე მხარისთვის წერილობითი მოთხოვნის წარდგენის დღიდან, ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება ანგარიშსწორების ვადის გადაცილების დღიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის წარდგენის თარიღისა.

10. არაპირდაპირი ურთიერთჩართვის პირობები
"სელფი მობაილისთვის" არაპირდაპირი, ტრანზიტული კავშირის ოპერატორის საშუალებით ჩართვის შემთხვევაში, "სელფი მობაილთან" არაპირდაპირ ურთიერთჩართული ოპერატორი უზრუნველყოფს ყველა სატრანზიტო ხარჯის დაფარვას, მათ შორის, მისი ქსელიდან წამოწყებული და "სელფი მობაილის" ქსელში დასრულებული, აგრეთვე "სელფი მობაილის" ქსელიდან წამოწყებული და მის ქსელში დასრულებული ზარების სატრანზიტო მომსახურების საფასურის გადახდას.

11. საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისგან აქცეპტის თაობაზე განაცხადის განხილვის პირობები და პროცედურები
11.1. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების დადების მსურველი პირი წერილობითი
ფორმით, განაცხადით მიმართვას "სელფი მობაილს" (განაცხადი ბარდება "სელფი მობაილის" ცენტრალურ ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, მექანიზაციის ქუჩა 1)
11.2. განაცხადში მითითებული უნდა იყოს ურთიერთჩართვის განსახორციელებლად
აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის: ავტორიზებული პირის ქსელის აღწერა, სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა, მათი გამიჯვნა ადგილობრივ და საერთაშორისო ზარებად (პროგნოზი), სიგნალიზაციის ტიპი, გამოყენებული ინტერფეისი, ურთიერთჩართვის მსურველი პირის მომსახურების სახეები და ტარიფები, ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა.
11.3. განაცხადთან ერთად ავტორიზებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს:
ა) მოთხოვნილ მომსახურებაზე ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
დ) გასააქტიურებელი ნუმერაციის რესურსის სალიცენზიო მოწმობის ასლი ან/და ნებართვის ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ ნუმერაციის ფლობის ფაქტს;
ე) წინამდებარე ოფერტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

ვ) განმცხადებლის მიერ "სელფი მობაილის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებიდან ერთ-ერთი, კერძოდ:

- გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა სულ მცირე უნდა აღემატებოდეს ორ თვეს. აღნიშნული საბანკო გარანტია იქნება „ავტორიზებული პირის" მიერ "სელფი მობაილის" წინაშე ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება. საბანკო გარანტიის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ "სელფი მობაილის" ქსელში დასატერმინირებელი/დასასრულებელი წუთების რაოდენობაზე/ღირებულებაზე, რომელიც ასახული უნდა იყოს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ „პროგნოზში". ამასთან, წინამდებარე გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, ღირებულება, საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;
- "სელფი მობაილის" საბანკო ანგარიშზე (რომელსაც "სელფი მობაილი" მიაწოდებს წინასწარ) ავანსის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. ზემოთაღნიშნული ავანსის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ "სელფი მობაილის" ქსელში ან/და მისი გავლით დასატერმინირებელი/დასასრულებელი წუთების რაოდენობაზე/ღირებულებაზე, რომელიც ასახული უნდა იყოს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ „პროგნოზში". ამასთან, წინამდებარე ავანსთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;

11.4. განმცხადებელს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს "სელფი მობაილის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება (დავალიანება).

11.5. განმცხადებლის მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში "სელფი მობაილი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება 11.2 და 11.3 პუნქტებში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ კი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ხსენებული პუნქტებით დაფიქსირებული რომელიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთს ან/და გააჩნია დავალიანება "სელფი მობაილის" მიმართ, მას ეცნობება ამის შესახებ და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

11.6. თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს 11.2 და 11.3 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მას განაცხადის და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა ურთიერთჩართვის ხელშეკრულების პროექტი ან/და ელექტრონული სახით გადაეგზავნება მის მიერ მითითებულ მისამართზე.

12. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა.

მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის თარიღიდან – 20 კალენდარული დღე.

13. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები.

დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს მხოლოდ ურთიერთჩართულ ოპერატორს. ასეთი მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის, ტრაფიკის ანალიზი).

14. ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა.

დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადაა მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღე. ეს ვადა იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას.

15. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები.

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ , "სელფი მობაილს" და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველია მხარეებს შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

თანალოკაციის ფართზე ურთიერთჩართვის აპარატურის განთავსების პირობებია:

ა) ურთიერთჩართვისათვის გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი). უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუიმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ-ს;

ბ) მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ-ს;

გ) ”სელფი მობაილი” უზრუნველყოფს მუდმივი დენის გარანტირებულ ელექტრო კვებას -48 ვოლტი ძაბვით, აგრეთვე თანალოკაციის ფართის სათანადო კონდიცირებას.
იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთჩართვის განხორციელებისთვის თანალოკაციის ფართის მსურველ ავტორიზებულ პირს ესაჭიროება რადიოსარელეო კავშირის ორგანიზება, მას ”სელფი მობაილის” ანძაზე თბილსსა და ბათუმში გამოეყოფა ფართი ანტენის დამონტაჟებისათვის, კერძოდ: თანალოკაციის ფართის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ანძაზე არაუმეტეს 0,6მ დიამეტრის პარაბოლური ანტენის განთავსებისთვის.
თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები:
ა) თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ „სელფი მობაილთან” შეთანხმებით და ”სელფი მობაილის” ან ”სელფი მობაილის ” შესაბამის კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით;
ბ) ინფორმაცია დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეცილურ ჟურნალში, რომლშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება ”სელფი მობაილის” წარმომადგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.
თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის, კონდიცირების და ანტენის განთავსების საფასური შეადგენს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

16. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები
16.1. ”სელფი მობაილმა” და მასთან ურთიერთჩართულმა ოპერატორმა 10 სამუშაო დღით ადრე უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაოების ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთჩართვის ტრაფიკის გატარების შეფერხება.
16.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებაზე და შესთავაზოს ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
16.3. მხარები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.
16.4. “დაუძლეველი ძალის” ქვეშ იგულისხმება ნებისმირი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.
16.5. დაუძლეველი ძალის გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდთოვლობა და სხვა), აფეთქებები (მათ შორის ტერორისტული თუ დივერსიის აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.
16.6. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით.

17. ”სელფი მობაილის” ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) და ლოკალური ან/და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS დასრულების მომსახურები მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, შეჩერებისა შეწყვეტის პირობები.

17.1. 9.1.2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ პირებთან ურთიერთჩართვის ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
17.1.1. ავტორიზებულ პირს შეუჩერდება მომსახურების გაწევა როდესაც ავტორიზებული პირის მიერ ავანსის ან/და ავანსის და 9.3.4 პუნქტის საფუძველზე გადახდილი თანხა მთლიანად იქნება გახარჯული ”სელფი მობაილის” მიერ გაწეულ მომსახურებაში.

17.1.2. ხელშეკრულება მოქმედებს იმ ვადამდე, სანამ ავტორიზებული პირის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიით (მხოლოდ საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტია) განსაზღვრული თანხის ოდენობა არ გაუტოლდება "სელფი მობაილის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებას და გაწეული მომსახურების ღირებულება არ არის გადახდილი ავტორიზებული პირის მიერ.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა იწვევს ავტორიზებულ პირთან ურთიერთჩართვის გაუქმებას, რაც ხორციელდება ავტორიზებული პირის ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე. აღნიშნული არ გამორიცხავს, "სელფი მობაილის" უფლებას კვლავ აღადგინოს ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, თუ ავტორიზებული პირის მიერ აღმოფხვრილი იქნება ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეწყვეტის/გაუქმების საფუძვლები. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მსგავს შემთხვევაში ურთიერთჩართვის ფიზიკური აღდგენა განხორციელდება მინიმუმ სამი სამუშაო დღის ვადაში.

17.3. ურთიერთჩართვის ხელშეკრულების შეჩერების საფუძველს წარმოადგენს "სელფი მობაილის" გონივრული და საფუძვლიანი ეჭვი, რომელიც დაკავშირებული იქნება ავტორიზებული პირის მიერ მისაღები მომსახურების თაღლითური ("ფროდის") მიზნით გამოყენებასთან (ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად აღნიშნულში, მათ შორის, მოიაზრება "ა" ნომრის ცვლილება, საერთაშორისო ზარების გადაკეთება ლოკალურ ზარად ან/და ლოკალური/ადგილობრივ ზარებთან ერთად საერთაშორისო ზარების დასრულება, თუ ავტორიზებული პირის მიერ გაცხადებული იყო მხოლოდ ადგილობრივი ზარების დასრულება. მსგავს შემთხვევაში, "სელფი მობაილის" მიერ დაუყოვნებლივ განხორციელდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინფორმირება, მათ შორის, ოფიციალური ელ. ფოსტის მეშვეობით და შესაბამისი მტკიცებულებების მიწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

17.4 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს:

17.4.1 მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით;

17.4.2 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას ან/და არაჯეროვანი შესრულებისას ცალმხრივად, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიიდან შესაბამისი თანხმობის მიღების შემდეგ.

18. ავტორიზებული პირები, რომელთაც ოფერტის ძალაში შესვლის თარიღისთვის სარგებლობენ ურთიერთჩართვის მომსახურებით ვალდებულნი არიან არაუგვიანეს ოფერტის ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაეთანხმონ(განაცხადონ აქცეპტი) აღნიშნულ ოფერტაზე და გააფორმონ ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ან შესაბამისი ცვლილება შეიტანონ მოქმედ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში.

19. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

მოწვევის ოფერტა მოქმედებს 2027 წლის 1 იანვრამდე.